ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №42

2014 წლის 14 აპრილი,
ქ. ბათუმი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტისა და ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული განვითარების გეგმა (დანართი 1);
2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას დანართში მითითებულ საკითხებში ფინანსური, მატერიალური და სხვა სახის მხარდაჭერა.
3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**

დანართი 1.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული განვითარების გეგმა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზანია ისეთი სტანდარტების დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს ევროპის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით სივრცეში ჩვენს ინტეგრაციას, შავი ზღვის აუზის მნიშვნელოვან ცენტრად ქცევას, ხელს შეუწყობს მაღალი შეგნების მქონე, ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების ერთგული ახალგაზრდების პიროვნულ და პროფესიულ ფორმირებას.

ბუნებრივია, უნივერსიტეტის მთელი მატერიალური და ადამიანური რესურსი აქეთაა მიმართული, თუმცა მხოლოდ ჩვენი შესაძლებლობებით დასახული მიზნის მიღწევა ძალიან რთულია, რადგან სერიოზული პროექტების განხორციელება დიდ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერა მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება ქვემოთ ჩამოთვლილ სფეროებსა თუ მიმართულებებში ხელშესახები პოზიტივის შეტანისა და საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის კუთხით.

ბოლო წლებში უნივერსიტეტთან გაერთიანდა რამდენიმე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, რომელთაც, მართალია, სტატუსი შენარჩუნებული აქვთ, თუმცა ზრდა-განვითარების შესაძლებლობები - ძალზე მწირი. ჩვენი ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს დაფინანსებით მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებდა, საჭიროებს ათწლეულების მანძილზე კუთვნილი ფართის პრობლემის უსწრაფეს გადაწყვეტას, რის შესახებაც ინფორმირებულია როგორც აჭარის არ მთავრობა, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

ანალოგიურ ვითარებაშია აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც ჯერ კიდევ ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგრარული მიმართულების კორპუსშია შესახლებული, რადგანაც მისი კუთვნილი შენობა სერიოზულ რეაბილიტაციას საჭიროებს. სარემონტო სამუშაოების პროექტი უკვე შედგენილია და გაგზავნილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში. ინსტიტუტი, შენობის საკითხის მოგვარებასთან ერთად, ინფრასტრუქტურულ გადახალისებასაც საჭიროებს: მის საკუთრებაში არსებული, საბჭოთა პერიოდის შემდეგ განახლებას მოკლებული აპარატურა ვერაფრით პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს.

დიდი ტრადიციების მქონე ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც ათწლეულების მანძილზე წარმატებით იკვლევდა მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (მათ შორის თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში

მყოფი ისტორიული საქართველოს) ისტორიას, ყოფასა და კულტურას, სამწუხაროდ, დღეს უკვე, საკმარისად ვეღარ აფინანსებს ახლო თუ შორეულ ექსპედიციებს და ვერც დღემდე მოპოვებული მნიშვნელოვანი არქეოლოგიური, ეთნოლოგიური, ფოლკლორული თუ სხვა სახის მასალების გამოცემას.

მიმდინარე წელს უნივერსიტეტში შეიქმნა ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი, რომლის მიზანია უცხო ენებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების ორგანიზაციული და შინაარსობრივი გაუმჯობესება. ამის მიღწევა შესაბამისი, თანამედროვე, აპარატურის გარეშე შეუძლებელია. უნივერსიტეტის ფინანსური რესურსი კი, სამწუხაროდ, არსებული აღჭურვილობის მთლიანად გადახალისების შესაძლებლობას არ იძლევა.

დღეს უნივერსიტეტი სტუდენტთა კეთილმოწყობილი საერთო საცხოვრებლისა და საპატიო სტუმართათვის განკუთვნილი ოთახების გარეშე წარმოუდგენელია. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თავისი შესაძლებლობებით მოახერხა მწვანე კონცხზე მდებარე საერთო საცხოვრებლის ნაწილობრივი რემონტი, ასევე I კორპუსის მიმდებარე 4-სართულიანი შენობის ორი სართულის შეკეთება და გარკვეულ კონდიციამდე მიყვანა. მე-3-4 სართულებზე (სადაც გათვალისწინებულია სტუმართა მოსასვენებელი ოთახების ორგანიზება) და მწვანე კონცხზე მდებარე საერთო საცხოვრებლის დარჩენილ ნაწილში ისევ ავარიული მდგომარეობაა.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება საჭიროებს ხელშეწყობას ისეთი ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების განხორციელებაში, რომელიც ტრადიციულია ჩვენთვის. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალი, ტრადიციები და, გარკვეულწილად, გეოგრაფიული მდებარეობა, უპირველესად - შავი ზღვის ფლორა და ფაუნა, სუბტროპიკული და მთიანი ზოლის ბიომრავალფეროვნება, ეკოსისტემები, ისტორიული წარსული თავისთავად განსაზღვრავს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პრიორიტეტებს. ათწლეულების მანძილზე აქ ჩამოყალიბდა ძლიერი სკოლები ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის, ქართული ფილოლოგიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, მათემატიკისა და აგრარული, საინჟინრო თუ საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოყოფილი გრანტები კი არასაკმარისია ამ მიმართულებებით გაზრდილი კვლევითი პროექტების დასაფინანსებლად.

გარკვეული წარმატებები გვაქვს ჩვენი უნივერსიტეტისათვის შედარებით ახალ დარგებშიც, როგორიცაა ბიზნესი, ეკონომიკა, სამართალი, სოციალური მეცნიერებები, ტურიზმი. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ამ მიმართულებით სწავლის მსურველ სტუდენტთა რაოდენობა იზრდება, საჭიროა უფრო მეტი ხელშეწყობა ქვეყნის მასშტაბით თუ მის ფარგლებს გარეთ შესაბამის დარგებში ძლიერ სკოლებთან აქტიური კავშირების დამყარებისა და აქ დასაქმებული პერსონალის პედაგოგიური და სამეცნიერო პოტენციალის რეალიზების კუთხით.

ჩვენი რეგიონისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტურიზმის ხელშეწყობა. ამ ინდუსტრიის მზარდი განვითარება მოითხოვს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, რომლებსაც ექნებათ სათანადო თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები და კომპეტენციები. ჩვენთან საკმაოდ მაღალრეიტინგულ ტურიზმის

ფაკულტეტზე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სწავლებისათვის მნიშვნელოვანია სასწავლო ინფრასტრუქტურის განვითარება, კერძოდ, სარესტორნო და სასტუმრო ოპერაციებისათვის ლაბორატორიების შექმნა და უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი აუდიტორიების არსებობა.

სერიოზული ინფრასტრუქტურული ცვლილებებია საჭირო უნივერსიტეტის ტექ-ნოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც ორ მიმართულებას - აგრარულს და საინჟინროს - მოიცავს. სოფლის მეურნეობა, მშენებლობა და კომუნიკაციები ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტია, ამდენად ამ სექტორის სტუდენტებისათვის შესაბამისი ბაზების კეთილმოწყობა მნიშვნელოვანი ინვესტიცია იქნება წარმატებული მომავლისათვის.

უკვე მერამდენე წელია უნივერსიტეტში ფუნქციონირებს გამოცდებისა და უნარ-ჩვევების შეფასების ცენტრი, რამაც ძალიან გაამართლა და სტუდენტთა ობიექტურ შეფასებაში დიდი წვლილი შეიტანა. დღეისათვის გამოცდებზე სტუდენტთა ნაკადს ვერ აუდის ამ პროცესისთვის გამოყოფილი 6 ოთახი 100 კომპიუტერით. თანაც იქმნება უხერხულობა შუალედური გამოცდის დროს, როცა 2 და მეტი კვირით ვერ ხერხდება აღნიშნული აუდიტორიების გამოყენება საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის. ამიტომაც დღის წესრიგში დადგა გამოცდებისა და უნარ-ჩვევების შეფასების ცენტრისათვის ისეთი ფართისა და იმ რაოდენობის ტექნიკის გამოყოფის საკითხი, რომელიც სრულად უპასუხებდა როგორც კომპიუტერებთან, ისე ჩვეულებ-რივად ჩასატარებელი გამოცდების საჭიროებას საგანმანათლებლო პროცესის პარა-ლელურად.

გადასახალისებელია უნივერსიტეტში არსებული საბუნებისმეტყველო დარგების ლაბორატორიები, რომლებიც დღევანდელ მოთხოვნებს ვერანაირად პასუხობს. კონკურენტუნარიანი ფიზიკოსის, ბიოლოგის, ქიმიკოსის გაზრდა შესაბამისი, თანა-მედროვე ლაბორატორიებისა და ხელსაწყო-დანადგარების გარეშე წარმოუდგენელია.

წლების წინ ჩვენს უნივერსიტეტში მოქმედებდა ჟურნალისტიკის საგანმანათ-ლებლო პროგრამა, რომლის შემდგომ აკრედიტაციაზე ჩვენ თვითონ ვთქვით უარი კადრებისა და ბაზის უქონლობის გამო და მილევად რეჟიმში გადავიყვანეთ. ამჟამად შესაბამისი კომპეტენციისა და უნარ-ჩვევების მქონე სპეციალისტების მხრივ გარკვეული წინსვლა გვაქვს, მომზადდა და განახლდა ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა, თუმცა აუცილებელია შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი სტუდიის არსებობა, რაც იქნება მყარი გარანტია აკრედიტაციის მოპოვებისა და რეგიონისთვის კვალიფიციური ჟურნალისტების მომზადებისათვის.

განსაკუთრებულ ხელშეწყობას საჭიროებს მასწავლებლის მომზადების საგანმანა-თლებლო პროგრამა. კვლევებმა აჩვენა, რომ მასწავლებელთა ყველაზე მწვავე ნაკლე-ბობა შეიმჩნევა მთიან რაიონებში. ჩვენს უნივერსიტეტს მასწავლებლის მომზადების მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. მხოლოდ რეგიონის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, დასაქმებულ მასწავლებელთა თითქმის 90% ბსუ-ს კურსდამთავრებულია. განათლების ფაკულტეტზე დაგეგმილია სკოლამდელი აღზრდისა და სპორტის საბაკალავრო პროგრამების მომზადება და განხორციელება, რაც მნიშვნელოვნად შეავსებს აღმზრდელ-მასწავლებელთა დეფიციტს ბაგა-ბაღებში და სპორტის მასწავლებლების დეფიციტს სკოლებში.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენს პედაგოგთა პროფესიული ტრენინგების, სემინარების, მასტერკლასების, კონფერენციების ჩატარების რეგიონულ ცენტრს. გასულ წლებში პედაგოგთა პროფესიული გადამზადების ცენტრის ფარგლებში გადამზადდა ასობით პედაგოგი, აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრში ცოდნა შეიძინა არაერთმა მომავალმა სტუდენტმა. უნდა ითქვას, რომ ტრენინგები და მოსამზადებელი კურსები ტარდება სასწავლო აუდიტორიებში, რაც ხელს უშლის, როგორც სასწავლო პროცესს, ასევე ამ ცენტრებს ეფექტურად მუშაობაში.

სამწუხაროდ, უნივერსიტეტში არ არის ასევე ინკლუზიური განათლებისათვის ადეკვატური გარემო, აღჭურვილი შესაბამისი ინფრასტრუქტურით. არადა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა დახმარება და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა უდავოდ მნიშვნელოვანია.

უნივერსიტეტი ფიქრობს სხვა საგანმანათლებლო პროგრამების (თეოლოგია, საჯარო მოხელე…) შექმნა-განხორციელებაზე, მაგრამ არსებული ბაზა არ იძლევა შემდგომი გაფართოების შესაძლებლობას. არადა, მსგავსი პროგრამების პირდაპირ უპასუხებს რეგიონის სპეციფიკასა და საჭიროებას და იქნება მაღალმოთხოვნადი. მართალია, ავტორიზაციის საბჭომ უნივერისტეტის სტუდენტთა რაოდენობა 7000-ით განგვისაზღვრა, მაგრამ უნივერსიტეტის შემდგომი გაზრდა-გაფართოებისათვის ყოველმხრივ კეთილმოწყობილი, ახალი მაღლივი კორპუსის აშენება ძალიან მნიშვნელოვანია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელი იქნება:

1. სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესება;
2. უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის შენარჩუნება და მათი საფუძვლების გამყარება;
3. სტუდენტებისათვის შრომის ბაზარზე ორიენტირებული მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვალიფიციური აკადემიური პერსონალის მომსახურების შეთავაზება სწავლების სამივე საფეხურზე;
4. ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და მისი განხორციელების უფლების მოპოვება, უცხოელი სტუდენტების მოზიდვა;
5. უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან გაფორმებული მემორანდუმებისა და ევროპული სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ერთობლივი პროექტების განხორციელება;
6. გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა;
7. სტუდენტთა შემოქმედებითი და სპორტული ჯგუფების წარმატებების ზრდა;
8. სტუდენტთა ყოფითი და სოციალური პრობლემების მოგვარებაა;
9. ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაფართოება. კვლევის შედეგების კომერციალიზაცია;
10. უნივერსიტეტის წიგნადი ფონდის (მათ შორის ელექტრონული) გაზრდა.